ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘ 1915 Წ. № 158

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ჩვეულებრივ განცხადებანი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ 7 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

გაზეთი „საქართველო“ 1 ქრისტეშობისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 80 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ როდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ 28 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲐ. ᲜᲝᲛᲔᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚ. ᲡᲐᲗ.-ᲐᲖᲜ. ᲡᲐᲐᲓᲒ.-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

6 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა, დილის 12 საათზე დ. სამტრედიაში სასოფ.-სამმართველოს დარბაზში დანიშნულია

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

იჯარით გაიცემა 1916 წლის პირველ იანვრიდან 1917 წლის პირველ იანვრამდე შემდეგი შემოსავლიანი სტატიები:

1. საიარმარკო ბუტკები
2. საწვრილმანო საიარმარკო მოედანი
3. მწვანე ბაზარი და სასწორი (ყაფანი)
4. საყასბო და
5. პირუტყვების გასასყიდი ქართა.

მსურველთ ვაჭრობის პირობების გაგება შეუძლიათ ყოველ დღე, სამტრედიის სასოფლო კანცელარიაში.

სამტრედიის საზოგადოების ვექილი **პ. პ. გელეიშვილი.**

(3—12—1)

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ

„ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓ“-ᲨᲘ

ᲙᲠᲣᲣᲔᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲔᲑᲘ

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან. შეიძლება ვაზშის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. ᲙᲐᲮᲔᲗᲔᲚᲘᲫᲔ** და **გ. ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ.**

25—22

„ᲬᲜᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲐᲜ, ᲐᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲜᲐᲑᲘᲯᲖᲔ, ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲓᲐᲜ, ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲯᲣᲒᲐᲐᲜᲘ“

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲣᲚᲐᲓ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲤᲔᲢᲘᲗ

15—12 პატივისცემით **ᲜᲘᲙᲝ** (კოლა) **ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲦᲕᲔᲚᲜᲘ

ᲛᲛ. ᲛᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮ., № 9, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.

ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲨᲘ

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮᲚᲘ, № 6, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ᲚᲚ. ᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ-ᲨᲕᲘᲗ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ᲮᲘᲖᲐᲚᲐᲚᲐ**, მცირე მარილიანი, შავი „**ᲛᲔᲨᲩᲜᲘ**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქმ, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ᲮᲘᲚᲔᲣᲚᲘ, ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲬᲧᲚᲘᲡ

ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ

Მ. Ე. ᲚᲐᲦᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, გოლოვინის პრ. № 6. **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ,** პუშკინის ქ. № 5.

ᲮᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან** ყოველთვის მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მადნეულებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილებლად ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

(3—2)

„ᲡᲘᲠᲐᲕᲘᲦᲘ“ ᲐᲦᲬᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲘᲡ

ᲡᲔᲦᲐᲡᲘᲡ ᲐᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

2 ქრისტეშობისთვე.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ.

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საღამოს ოფიციალი ცნობა. არტუაში, ბორენის სამხრეთ-დასავლეთით ფრანგებმა ზარბაზნებით დაანგრიეს გერმანელების საველე გამაგრებული ადგილები. შამპანში, მდ. ენის ჩრდილოეთით, მენილის ბორცვთანაც დაუნგრიეს გამაგრებული ადგილები. სენ მიელთან ფრანგებმა დაანგრიეს მაასზე წყალდიდობისაგან გადარჩენილი ერთად-ერთი ხიდი. სენ-მერის მახლობლად, სენ-მიელის ჩრდილოეთით, ფრანგებმა ზარბაზნებით ძლიან დააზიანეს გერმანელების გამაგრებული ადგილი. მაასის მარჯვენა ნაპირას, ბუშის ტყეს მარჯვედ უშენდნენ და გერმანელების სანგრები სრულიად დაანგრიეს და წაართვეს რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. დღის ოფიციალი ცნობა. თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 29 გიორგობისთვეს განთიადისას ფრანგების ჯარმა ბულგარელების იერიშები მოიგერია და შემდეგ უბრძოლველად იხევდა უკან. თუმცა გზა უხეირო იყო, მაგრამ ჯარმა წესიერად დაიხია და მთელი საომარი მასალაც თან წამოიღო. 29 გიორგობისთვეს ფრანგების ჯარი გივგელი—ინდირის ხაზზე იყო დაბანაკებული.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 1 ქრისტეშობისთვე. მიუხედავად ბულგართა და ავსტრო-გერმანელთა სასტიკი იერიშებისა, მოკავშირეებმა მცირეოდენი მსხვერპლით მოახერხეს თავიანთ ფრონტის შემოკლება საბერძნეთის ტერიტორიაზე. მტრის დანაკლისი ათიათასამდე იქნება. ინგლის-საფრანგეთის ჯარები ახალ თავდაცვის ხაზის გამაგრებას მოჰყვნენ. სოლუნიდან მოელიან სწრაფს მაშველ ჯარებს.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 1 ქრისტ. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ნავთსადგურებში დატყვევებულ საბერძნეთის გემებს უფლება მიეცათ პირეისკენ დაიკავონ გზა.

ᲡᲝᲚᲣᲜᲘ, 1 ქრისტ. ფრანგთა ჯარების დახევა საბერძნეთის საზღვრებისაკენ უკვე სრულდება. ქალაქი გევგელი იწვის გუშინდელ დღის აქეთ. ინგლისელთა ჯარებმა ფრიად მკაცრი ბრძოლის შემდეგ გუშინ, დასცალეს დოირანი. ინგლისელთა და ფრანგების ჯარის უკან დახევა სრულის სიწყნარით და წესრიგითა ხდება. მოკავშირენი ამაგრებენ კილინდორ-კარუსელის ხაზს. გუშინ ოთხი ტრანსპორტი მოვიდა ინგლისელთა ჯარებით. მათ თან ახლდნენ სამხედრო გემები სამხედრო სურსათ-იარაღითურთ. სოლუნში გაიგზავნა დიდძალი მძიმე იარაღი. მოკავშირეები ძლიერ ცხელ აგებენ სოლუნის გარშემო. ფრანგ-ინგლისელთა სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, მოკავშირენი ამიერიდან ადვილად მოიგერებენ მტერს. მათ მალე ფლოტიც დაეხმარებათ, ვიდრე საკმაო ჯარი მოვა საზოგადო იერიშის მისატანად.

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 1 ქრისტეშობისთვე. ბერლინსა და სოფიის შუა პირველად მოხდა ტელეფონით შეერთება. დღეს პირველად გამოელაპარაკნენ ერთმანეთს გერმანელი და ბულგარელი მინისტრები.

ავსტრიელთა ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება, რომ მთაშავეთში შესვლისას ავსტრიელთ პარტიზანულ ბრძოლასთან უხდებათ საქმე. საყურადღებოა, რომ აქაური მშვიდობიანი მცხოვრებნი გაცილებით მეტად არიან ამხედრებულნი ავსტრიელთა წინააღმდეგ, ვიდრე ეს იყო სერბეთში.

როგორც „ფოსიშე ციტუნგი“ იუწყება მონასტირის ადმინისტრაციის გამგედ გერმანელი აფიცერი დაუყენებიათ.

ᲛᲔᲡᲝᲞᲝᲢᲐᲛᲘᲐᲨᲘ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 გიორგობისთვე. კუტართან, მესოპოტამიაში, ინგლისელთა ჯარების უფროსი გენერალი ტოუსენდი იუწყება, რომ მთელს 25 გიორგობისთვის განმავლობაში ზარბაზნებს უშენდენ ჩვენს მიერ დაჭერილს პოზიციებსაო. 26 გიორგობისთვეს ოსმალებს სხვა და სხვა მხრით მოჰქონდათ იერიშები, თუმცა ერთს მეორესთან კავშირი არ ჰქონებიათო. 27 გიორგობისთვეს ხელახლად კუტარს საშინელი სროლა აუტეხეს და მკაცრი იერიშით შეგვიტიეს. 28 გიორგობისთვეს მტერმა განაახლა იერიშები და მთელ ფრონტის გასწვრივ ორჯელ შეეცადა ჩვენს განადგურებას, მაგრამ მათი იერიშები მოგერებულ იქმნა. მას აქეთ რაოდენადმე სიწყნარე ჩამოვარდა. სწრაფად მაშველი ჯარები მოგვდის.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ. „პრეს. ბიურო“ იტყობინება. დილით სამმა ავსტრიელმა მფრინავმა სკადრას 7 ყუმბარა ესროლა, თუმცა უშედეგოდ. ნაშუადღევს მტრის მფრივავებმა ანტივარს 16 ყუმბარა ესროლეს. ორი ყუმბარა დანილის ციხე-დარბაზის ბაღში დაეცა. ერთი თამბაქოს მაღაზიის სახურავზე გასკდა და მცირედ დააზიანა. ორი ყუმბარა დულინიოში ჩამოაგდეს. აქ რამდენიმე შინაური საქონელი იმსხვერპლა.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. გაზეთები იტყობინებიან: ავსტრო-გერმანელთა წრეების აზრით, სერბეთზე გალაშქრების საქმე დასრულებულია. მათი ჯარის ნაწილი ჯერ სერბეთშია დატოვებული, მეტი ნაწილი კი სერბეთიდან გაიყვანეს. სერბეთში გერმანელ-ბულგარელთა შერეული ადმინისტრაცია იქნება.

რუშჩუკიდან იტყობინებიან: ავსტ.-გერმანელების გემები დუნაიზე ბულგარეთის სანაპიროებს სდარაჯობენ. ბულგარეთის გაზეთები ამბობენ, ბულგარეთის ჯარი საბერძნეთის მიწა-წყალზედაც არ შესწყვეტს ინგლის-საფრანგეთის ჯარის დევნას.

ᲑᲔᲚᲒᲔᲗᲨᲘ

ᲰᲐᲒᲠᲘ. ბელგეთის ცნობა. მთელი ბრძოლის პირზე ღამემ წყნარად ჩაიარა. დღეს კეიემთან ბელგიელები გერმანელების სანგრებს ზარბაზანს უშენდნენ.

ᲓᲐᲠᲓᲐᲜᲔᲚᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 და 29 გიორგობისთვეს დარდანელში საკმაოდ ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა. 29 გიორგობისთვეს ოსმალების სანგრებს დიდი ზიანი მიაყენეს, ორი ნაღმის აფეთქებით.

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ.

ᲢᲝᲙᲘᲝ. პეკინში მყოფ იაპონიის დესპანს დაევალა, სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად, განმეორებით მოსთხოვოს ჩინეთის მთავრობას, ჯერ კვლავ გადასდოს მონარქიულ წესწყობილების აღდგენა.

ᲒᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲦᲣᲞᲕᲐ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ლლოიდის ცნობებით, ინგლისის გემი „ოსტერიკ“-ი დაღუპეს. ზედ მყოფნი, ორ მოკლულ ჩინელისა და სამ მძიმედ დაჭრილს გარდა, გადაარჩინეს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ.

ᲫᲐᲘᲠᲘ. ინგლისის ოფიც. ცნობა. ინგლისის ჯარი 28 გიორგობისთვეს ლიგანიის უდაბნოში, მარსამარტთან წააწყდა ბედუინებისაგან შემდგარ 3000 ჯარს, ბრძოლის შემდეგ, მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 35 მოკლული, 7 ტყვე და დასავლეთისაკენ დაიხია. ინგლისელებს მოუკლეს 34, ამათგან 16 აფიცერი, ამათ გარდა დაუჭრეს 3 აფიცერი და 15 ჯარისკაცი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ.

რუსეთ-სპარსეთის ომის პირველი ნაბიჯი.

სპარსეთში რუსეთის გავლენით არსებობს სპარსელებისაგან შემდგარი კაზაკთა ჯარი. ეს ჯარი რუსეთმა შეაიარაღა და იანვრიდან ჯამაგირსაც რუსეთის ხაზინა აძლევს. ინგლისელების გავლენით კი სპარსეთში არსებობს ჟანდარმერია, შვეიცელ აფიცერთა ხელმძღვანელობით. სპარსეთში რომ მოძრაობა დაიწყო ჟანდარმერია ოსმალ-გერმანელთ მიემხრო. 9 გიორგობისთვეს ქამადანში ჟანდარმერია დაეცა ამ კაზაკთ რაზმს, რომელიც 320 კაცისაგან შესდგებოდა, სულ ადვილად დაამარცხა და იარაღი აჰყარა. ჟანდარმერიას ჰხელმძღვანელობდა შვეიცელი მაიორი ჩელსტრემი. მათ დავლად დარჩათ, თოფების გარდა, ერთი სამთო ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველი. კაზაკების მეორე ნაწილი, 130 კაცი, უფროს მუშტეხიდ მაჰმედის ციხე-დარბაზს შეეხიზნა, იარაღი აიყარა და გერმანეთის ფინანსთა მინისტრის აგენტს ჩააბარა. საგულისხმოა, რომ კაზაკები თითქმის უბრძოლველად, მედგარი წინააღმდეგობის გაუწევლად დაჰნებდნენ, თუმცა შეიარაღებით გაცილებით სჯობდნენ.

ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲠᲔᲘᲡᲘ.

სპარსეთის მოძრაობის სულის ჩამდგმელი პრინცი რეისია. მას ემსახურებიან შვეიცელი აფიცრებიც და ჟანდარმერია. მაიორს ჩელსტრემის გარდა, ქამადანში მივიდა კიდევ 6 შვეიცელი აფიცერი 3000 ჟანდარმით. ამათ გარდა არიან შვეიცელი სხვა აფიცრებიც, რომელთაც 5500 ჟანდარმი და 2000 პოლიციელი ჰყავთ. ესენიც მალე შეუერთდებიან მეამბოხეთ.

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲨᲘ.

ოსმალეთის დესპანი ასსიმ-ბეი და ავსტ.-უნგრეთის ელჩი გრაფი ლოგოტეტი თეირანს დაბრუნდნენ. პრინცი რეისი სულთან-აბადში დარჩა რუსეთის ჯარზე „გამარჯვების მოსაწყობად“.

ᲨᲐᲰᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘᲓᲐᲜ.

შაჰი ქალაქ გარედ მდებარე სასახლეში გადავიდა ფაგ-აბადში. აქ-

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ

„ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓ“-ᲨᲘ

ᲙᲠᲣᲣᲔᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲔᲑᲘ

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან. შეიძლება ვაზშის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. ᲙᲐᲮᲔᲗᲔᲚᲘᲫᲔ** და **გ. ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ.**

25—22

ᲓᲦᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲣᲠᲐᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ

ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲔᲓᲛᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ ᲰᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ

Ი. ᲗᲘ. ᲒᲕᲐᲗᲣᲐᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘ № 1

ტელეფონი 17—05

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

მოსე ანთიმოსის მე

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲣᲗᲕᲘᲚᲘ

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲐᲜ** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

Ქ. ᲒᲝᲠᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Მ. ᲙᲚᲘᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ

ᲞᲠᲝᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ

Მ. Დ. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

Ყ. ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ᲙᲒᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ᲧᲐᲖᲑᲔᲓᲘᲡ ქუჩა 14 და ᲙᲘᲠᲞᲘᲩᲜᲘ შესახვევის 21.

ᲙᲒᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ

ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

(ᲮᲝᲚᲓᲜᲔᲕᲘᲡᲐᲛ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲓᲝᲚᲢᲐᲥᲐᲠᲘ

Გ. Მ. ᲛᲣᲮᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ

ᲔᲥᲔᲑᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲡ,

ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. **მისამართი** იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.

(15—11—6)

კი ათის დღით სანადიროდ გაემართა. თან ისეთი ბარგი წაიღო, რომ, სჩანს, ნადირობიდან ისპაჰანს წავა, სადაც მას თან ახლდებიან ოსმალეთისა და გერმანეთ-ავსტ.-უნგრეთის საელჩოები, სასახლის ამალა და მთავრობის მთელი შემადგენლობა.

სპარსეთი გერმანეთ-ოსმალეთს ემხრობა

თუმცა მუსტაფა-მამალეკის სამინისტრო რუსეთ-ინგლისის მთავრობას არწმუნებდა, შენი ერთგული მოკავშირე ვიქნებიო, მაგრამ ძალიან აგვიანებს გერმანეთ-ოსმალეთის აგენტებთან კავშირის გაწყვეტას. ამასთანავე თეირანში თავს უყრის ბახტიარებს, სარმაზებს, ჟანდარმებს და მეზობელ თემების ცხენოსან ჯარს. საფიქრებელია, რომ სპარსეთის მთავრობა რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ ირაზმება. (უ. რ.)

შვეიცია

პოლიტიკური წინასწარობა.

დღეს შვეიცაში მოისპო პოლიტიკური ყოყმანი. მისი დამოკიდებულება მეომარ სახელმწიფოებისადმი ჩამოყალიბდა მტკიცე ნეიტრალობის სახით. ამ მხრივ მდგომარეობა, თვინიერ მოულოდნელი შემთხვევებისა, მედგარია. რამდენიმედ დასცხრა აკტივისტების აგიტაცია და გავლენა, რომელიც ომის პირველ წლის მიწურულში საერთო მღელვარებას და აღფრთოვანებას ჰქმნიდა. თვით აკტივისტები ორ ჯგუფად დაიყო: გაჩნდა ჯგუფი აკტიურ აკტივისტებისა და ჯგუფი პასიურ აკტივისტებისა. პირველი ჯგუფი ყოველ მიზეზის გარეშე გერმანიასთან შეთანხმებას და მასთან ერთად ბრძოლას მოითხოვს რუსეთის წინააღმდეგ. მეორე ჯგუფი ომის მომხრეა მხოლოდ მოგერიებითი მიზნით. მის წარმოდგენით მეჩვიდმეტე საუკუნის ძლევამოსილ სახელმწიფოს, შვეიცას დღეს უფლება უნდა ჰქონდეს იარაღით ხელში დაიცვას თავისი არსებობის ინტერესი და ისე მოეწყოს რომ არავის მოწყალეობაზე არ იყოს დამოკიდებული ქვეყნის ნივთიერი კეთილ დღეობა. ეს პოლიტიკური აკტივიზმი შეიქმნა ომის ხანაში და შესაძლო პერსპექტივების პსიხოლოგიურ გავლენის ქვეშ ხოლო შვეიცია განიგება მტკიცედ დამყარებულ საზოგადოებრივ აზრით, რომელიც პარლამენტის შემადგენლობაში არის გამოცხადებული. პარლამენტში კი 86 კონსერვატორია, 87 სოციალისტი და 57 ლიბერალი. აქედან სოციალისტები შეურყეველი ნეიტრალობის მომხრენი არიან. კონსერვატორები ომის შესაძლოებას არ უარყოფენ და აკტივისტების შეხედულებას იზიარებენ. ეს ორი პარტია, როგორც თანაბარი ძალების ერთმანერთს აბათილებს. საკითხის გარდაწყვეტა ლიბერალების პოზიციაზეა დამოკიდებული. ხოლო ლიბერალებმა თავიანთ შეხედულება მკაფიოდ გამოსთქვეს მორიგ წლიურ კრებაზ, რომელიც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბოტეს თავმჯდომარეობით სტოკჰოლმში გაიმართა ამას წინად. ლიბერალები ნეიტრალობას უჭერენ მხარს. ამ რიგად შვეიცის რიკსდაგის პოზიცია გამორკვეულად

ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი

IV

მეცადინეობა სამეფოს დასაბრუნებლად.

ამ რიგად დაუბრუნა რუსეთმა სპარსეთს ის დიდძალი სანაპიროები კასპის ზღვისა, რომლებზედაც ასე დიდს იმედებს ამყარებდა პეტრე დიდი, მიაჩნდა რა იგი ბალთიის ზღვის სავაჭრო დამატება-გაგრძელებად. შესაძლებელია პეტრე დიდი, რომ ცოცხალი ყოფილიყო სულ სხვა სულს ჩაბერავდა, სულ სხვა რიგ აამოძრავებდა იქაურობას და არც ისე ადვილად გაუშვებდა ხელიდან ამოდენა მიწა-წყალს. მაგრამ პეტრე დიდის მემკვიდრეებმა ვერ ისარგებლეს მისი შენაძენით და უკანვე გაუბოძეს მის წინანდელ პატრონს და თან ვახტანგისათვის საიმედო რამ მუხლი და დაპირება ჩაურთეს ამ ხელშეკრულობაში.

ცარიელი იმედიც კარგი იყო იმ მდგომარეობაში მყოფის ადამიანისათვის, როგორშიც იყო ვახტანგი. ამ იმედით გამხნევებული ვახტანგი ჰკადნიერდება და მოახსენებს ახალს იმპერატრიცას: „კერძოთ მე თქვენის მოწყალებით არც ჩაცმა-დახურვა და არც სხვა რამ მაკლია, მაგრამ კეთილ ინებეთ, ლმობიერის თვალით გადმოხედეთ ჩემს ბედკრულ სამშობლოს და შემწე ექმენით“. ამის პასუხად იმპერატრიცას უთქვამს ვახტანგისთვის: „კასპიის თვალ-უწვდენელი სანაპირები რუსეთის საკუთრებას შეადგენს, ბაქოსა და დარუბანდში სდგანან ჩვენი ჯარები, წადი, წაასხი ჯარები და ისე მოიხმარე როგორც გსურდეს.*)

1734 წელს იმპერატრიცას ბრძანება გამოიცა, რომლითაც ებრძანებოდათ ვახტანგსა და მის შვილს ბაქარს საქართველოში გამგზავრება. ვახტანგს თან მთელი ინსტრუქცია ჰქონდა ნაბოძები, რომლის თანახმადაც უნდა მოქცეულიყვნენ. ინსტრუქციაში ნაბრძანები იყო, რომ დარუბანდში მისვლისთანავე კაცები უნდა გაეგზავნათ სომეხთა ქათალიკოსისა და მელიქებისათვის და გაეგოთ თუ რა ნაირად შეიძლებოდა მათი რუსეთის მფარველობაში მიღება და მათი ამხედრება ოსმალეთის წინააღმდეგ. უნდა გაეგოთ განძრახვანი ოსმალეთისა, რუსეთისა და სპარსეთის შესახებ, მათი ძალების განწყობილება და კიდევ, სპარსეთში ახალს შაჰის რა ფასი და გავლენა ჰქონდა. ყველა ეს ჩუმად, საიდუმლოდ უნდა ეწარმოებინათ, რათა მტერი წინდაწინვე არ მიმხვდარიყო. გარდა ამისა ვახტანგს და ბაქარს უნდა მოეწვიათ რუსეთის სამსახურში რაც შეიძლება მეტი ქრისტიანები კავკასიიდგან ქართველები, სომხები, მთიულნი და სხვანი.

ამგვარის ინსტრუქციით დატვირთული ვახტანგი თავისის შვილით მიემგზავრება დარუბანდისაკენ. დიდს იმედებს ამყარებდა ამ ლაშქრობაზედ ვახტანგი, დიდი ხნის სურვილი უცხოველდებოდა, იგი აღტაცებული უხ-

*) Джанашвили, Матеріалы для исторіи Грузіи и Россіи.

ინგლისელთა და ფრანგთ გრადეცის კენ ხევა.

ფრანგ-ინგლისელთა ჯარი დემირ-კაპუდან გრადეცის რაიონში გადავიდა, (დემირ-კაპუს სამხრეთით, ვარდარის მარცხენა ნაპირზე).

გერმანეთი.

პროგრესიული პარტია.

პროგრესიული პარტიის ცენტრალმა კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც კომიტეტი აღნიშნავს, რომ პარტია ამაყობს გერმანელთა იარაღის ძლევამოსილობით და გერმანეთის ხალხის თავდადებულ მამულიშვილობით. რეზოლიუციაში კომიტეტი იმედს გამოსთქვამს, რომ ზავი მალე დამყარდება და გულისწყრომას აცხადებს მოპირდაპირე სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთაც განუზრახავთ გერმანეთს ზავის პირობები უკარნახონ. პარტიას სწამს, რომ მომავალი ზავი გერმანეთის მომავალს უზრუნველ ჰყოფს და თუ შემთხვევამ მოიტანა, მას ტერიტორიასაც კი შეჰმატებს. პარტიას იმედი აქვს, რომ ომის შემდეგ ავსტრიისა და გერმანეთის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო შეიქნება.

გერმანეთი და ზავის პირობები.

ამერიკის გაზეთის ცნობით, გერმანეთს ზავის ახალი პირობები შეუმუშავებია. იგი მოითხოვს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე სრულს ბატონობას, რომ მცირე აზიის გზა მუდამ ხსნილი და უზრუნველყოფილი ჰქონდეს და არ ეშინოდეს ინგლისის ბატონობის ზღვაზედ. გერმანეთი მოითხოვს, რომ მისა და რუსეთ შორის აღიმართოს სახელმწიფოები—ბუფერები. დასავლეთით იგი თანახმაა აღადგინოს ძველი საზღვრები, ბელგეთს—სრული თავისუფლება დაუბრუნოს. გერმანეთი იმის თანახმაც არის თურმე, რომ საფრანგეთს დაუბრუნოს ელზას ლოტარინგიის ის ადგილები, სადაც ფრანგული ენაა ხმარებაშიო.

სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების შველა.

უკანასკნელ ოფიციალ ცნობათა მიხედვით, გიორგობისთვის განმავლობაში ქალაქის თვითმართველობამ შემწეობა აღმოუჩინა 195,130 ჯარისკაცის ოჯახებს. ამ ოჯახებზე გაიღეს მარტო გიორგობისთვეში 9 მილიონზე მეტი მარკა.

გულგარეთში

ბულგარეთის ფართე მასა, რომელიც ორჭოფულად შეჰხვდა ომის დაწყებას, ეხლა აღფრთოვანებულია ბულგარეთის ჯარის სამაგალითო მოქმედებით; ბულგარეთის ზოგ წრეში ჰფიქრობენ, სერბეთის ტერიტორიის დაპერის შემდეგ, სისხლის ღვრას ბალკანეთში ბოლო მოეღებაო.

ბულგარეთის მთავრობა მტკიცედ ადგია იმ გზას, რომელიც მან აირჩია ცენტრალ სახელმწიფოებთან შეთანხმებით.

კრონპრიც რუპრეხტის განცხადება.

გერმანეთის ჯარის სარდალი დასავლეთის ფრონტზე ბუდაპეშტის გაზეთ „Az Est“-ში აცხადებს: „დროს უცადოთ და გავიმარჯოთ—აი მთელი ჩვენი პროგრამა და მთელი ჩვენი ახლო მომავალი. გამარჯვების იმედი ჩვენში მტკიცეა, ვინაიდგან, თუ მოწინააღმდეგე ვერას გახდა ენკენისთვის შემოტევის დროს, როცა მას ჰყავდა სამაგალითო ძალები კითხვა იბადება რას უნდა გახდეს იგი, როდესაც ჩვენი ჯარის რიცხვი მოწინააღმდეგისას გადაჭარბებსო. როდესაც გერმანეთის ოფიციალი ცნობა იუწყება, დასავლეთის ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარაო, ეს იმას ნიშნავს, რომ მანდ სწარმოებს განუწყვეტელი ბრძოლა. ეს ბრძოლა პოზიციურია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ჩვენი დანაკლისი, მოწინააღმდეგის დანაკლისთან შედარებით, უმნიშვნელოა. საკმარისია ითქვას, რომ ინგლისელებმა ენკენისთვის შემოტევის დროს დაჰკარგეს 2,000 აფიცერი.

რიგის ფრონტი.

რიგის ფრონტზე მოწინააღმდეგე სარგებლობს ხეტყის სიუხვით და აშენებს მთავარ ბლოკჰაუზ-ციხეებს ფრონტის ყოველ მნიშვნელოვან ადგილზე, განსაკუთრებით-კი,—ოლაის რაიონში. ციხეები ერთი-მეორეზე მჭიდროდ არის მიდგმული და თითოეული მათგანი შეიარაღებულია ტყვიისმფრქეველებით. ზოგ ადგილას ბევრი ამგვარი ციხეა შეჯგუფული.

დვინსკი.

სრულა აღარ ისმის. ცხოვრება მეტის-მეტად ძვირია. გირვანქა ნავთი 35—40 კ. ფასობს. ქონის სანთელი გირვანქა მანეთად იყიდება. გირვანქა თეთრი პური—35—45 კ. ფასობს.

უკანასკნელი ფოსტა

ამ ბოლო დროს კურლიანდიაში მოწინააღმდეგეს თავისი ჯარი აქეთ-იქეთ გადაჰყავს. ლიბავა-ვილნოს გზა აღადგინეს და მიმოსვლა სწარმოებს.

საფრანგეთის მთავარ-სარდალმა ბალკანეთის კუნძულზე სხვა და სხვა ღონისძიება მიიღო, რომელზედაც თვით საბერძნეთი დაეთანხმა და რომელიც მოკავშირეთა ინტერესებსაც უზრუნველჰყოფს. მხოლოდ არ იციან როგორ მოუაროს გერმანელთა წყალქვეშებს. მოკავშირეები მოითხოვენ საბერძნეთიდან, რათა ამ წყალქვეშებს თვინ ეაუსწორდნენ. საბერძნეთის მთავრობას პასუხი არ მიუცია. მოლაპარაკება კვლავ სწარმოებს

გერმანეთი დაუღალავად მუშაობს, რათა ჩინეთი მიიმხროს. როგორც ამბობენ, იაპონიას განზრახვა აქვს ძალა იხმაროს და ჩინეთს მეფის ტახტის აღდგენის ნება არ მისცეს.

მოკავშირეთ გადაწყვეტილი აქვთ, არას გზით სოლუნი არ დასტოვონ.

ჩინეთში სახელმწიფო საბჭომ იუანშიკაი იმპერატორად აღიარა.

ამბობენ, ვითომ 180 ათასი სერბელი ტყვე წაეყვანოთ და 50 ათასი ბრძოლის ველზე მოეკლათ.

ავსტრო-გერმანელებს სერბეთის მართველად სერბიელები დაუყენებიათო.

დღემდე გერმანეთს გაუყვანია 10 მილიონი მებრძოლი. ხოლო ავსტრეთს 8 მილიონი. სულ 15 პროცენტი მთელის მცხოვრებისა.

როგორც ამბობენ ოსმალთა ჯარი შესდგება 700 ათასი მებრძოლი ჯარისკაცისაგან, ხოლო ცხენოსანი ჯარი—20 ათასისაგან. სტამბოლსა და დასავლეთ აზიაში იმყოფება 300 ათასი, კავკასიის ფრონტზე—150 ათასი სუეცის არხთან მესოპოტამიასა და არაბეთში 250 ათასიო.

გერმანელთა მეცნიერებს გამოუგონიათ ახალი საშუალება ხელოვნურ რეზინის გასაკეთებლად. პროფესორმა მარიესმა ფრანკფურტში პირველად გააკეთა ავტომობილის თვლების ასე ხელოვნური რეზინი.

გრძოლის ველზე

ბულგარები განაგრძობენ ფრანგ-ინგლისელთა ჯარების კვალ და კვალ დევნას. მოკავშირენი ფეხს ვერ იკიდებენ. 29 გიორგობისთვეს ფრანგები გაუსწორდნენ გეოგელი ტილინდირის ხაზს, როგორც ამას პარიზის ოფიციალი ცნობა გადმოგვცემს. ამ ხაზზე ფრანგებმა ძლიერი საარიერგარდო ბრძოლა გამართეს, რათა დრო მიეცათ მთავარ ძალებისთვის რაც შეიძლება ნაკლების ზარალით და წესიერად დახეულიყვნენ საბერძნეთის საზღვრებისკენ. ფრანგების არიერგარდი აქ მალე დამარცხდა, უკვე 30 გიორგობისთვეს დასტოვა ქალაქი გეოგელი, რომელიც ბულგარების ზარბაზნებმა ცეცხლის ალში გაჰხვიეს. 1 ქრისტეშობისთვეს, პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ინგლისელებმა დასცალეს დოირანი, მკაცრი და შეუბრალებელი ბრძოლის შემდეგ. მოკავშირენი საბერძნეთის ტერიტორიისაკენ მოეშურებიან. მათ გადაწყვეტილი აქვთ სალონიკი გაიხადონ თავის შესაფარებელ პუნქტად და იმის გარშემო გასწიონ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამის საბუთს იძლევა პეტროგრადის სააგენტოს ცნობა, რომ მოკავშირენი, დიდის დაშურებით აგებენ სიმაგრეებს სალონიკის გარშემო, სალონიკში შემოაქვთ საფრანგეთის დიდძალი მძიმე არტილერია. საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო წრეები ფიქრობენ რომ ფლოტის დახმარებით მოკავშირენი ადვილად გაუმკლავდებიან ბულგარებს მანამდე, ვიდრე მათ საფრანგეთ-ინგლისიდან დიდძალი მაშველი ჯარი ჩამოუვათ. მაგრამ თუ სახეში მივიღებთ ბულგართა აშკარა უპირატესობას, მოკავშირეთა ეს იმედი ძნელი გასაზიარებელა იქნება. დღეს ფრანგები და ინგლისელები აშკარა განსაცდელის პირას დგანან.

მესოპოტამიაში ინგლისელთა ჯარის მდგომარეობა, ამ ათი დღის წინანდელ სასტიკ დამარცხების შემდეგ, არ გამოსწორებულა. ინგლისელთა წინააღმდეგ აქ ოსმალთა დიდძალი ჯარი მოქმედობს. 25, 26, 27 და 28 გიორგობისთვის განმავლობაში, ოსმალებს იერიში იერიშზე მოაქვთ და ინგლისელები იძულებული არიან საჩქარო უკუდახევას დაადგნენ. მძაფრი იერიშები მიჰქონდათ კუტარზე, რომლის შენარჩუნების შესახებ არაფერს ლაპარაკობს მესოპოტამიაში მომქმედ ინგლისელთა ჯარის მთავარ-სარდლის დეპეშა.

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე და კავკასიაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მეგრი.

თბილისი, 3 ქრისტეშობისთვე.

სამაჰმადიანო საქართველო.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას წილად ჰხვდა იშვიათი ბედნიერება, პირველს შეედგა ფეხი ომისაგან აოხრებულ სამაჰმადიანო საქართველოში და ზნეობრივ ნუგეშთან ერთად პირველი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს განაწამებ შვილებისათვის.

ამ საქმეს ადგა ეს საზოგადოება თვის ტულ-ტოლ ერთგულ სოფლებიდან. ამ ძვირფას ძმარეს და შეძლების ფარგალში ფარად და მოამაგედ ევლინება.

ამავე საზოგადოებას წილად ერგო განათლების პირველი შუქი შეენათებინა მაჰმადიან მოძმეთა შორის და პირველი ქართული სკოლები გაემართა იქ, სადაც მთელი სამი საუკუნეა, რაც გაუქმებულია ქართული წერა-კითხვა და ანბანი. ქართ. საქველ. საზოგადოებას დღეს ამ საქმისთვის ერთდროულ ხარჯის გასაწევად 16 ათასი მანეთი აქვს, ხოლო ყოველთვიურ ხარჯის დასაფარავად 8,000 მანეთი. ეს თანხა საკმარისია განზრახული ოთხი სკოლის გასამართავად და შესანახად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქარ. საქვ. საზოგადოება დიდი სიფრთხილით შეუდგება იმ ძნელი მისიის განხორციელებას, რომელიც გარემოებამ მას დაავალა. ვიდრე რაიმე პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, საქვ. საზოგადოება კარგს იზამს მოუწოდებდეს გამოცდილ ქართველ პედაგოგებს და იმ თითო-ოროლა ქართველს, ვინც გაცნობილია სამაჰმადიანო საქართველოს აწინდელ ვითარებასთან. ასეთ მცოდნე და კომპეტენტურ პირთა წრემ უნდა გამოარკვიოს, თუ რა ტიპის სკოლა უფრო გამოსადეგი და მიზან-შეწონილი იქნება ჩვენთვის და შემდეგ საქვ. საზოგადოება შეეცდება ამის პრაქტიკულ განხორციელებას. ასეთი ახალი და რთული საქმის მოსაგვარებლად საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა ყველა კეთილი და შეგნებული ქართველისა.

ახალი ამბავი

✦ **მეფის ნაცვალმა** დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შუამდგომლობა აღძრა რათა ხაზინიდან 5 ათასი მანეთი მიეცეს კავკავის სახელოსნო სასწავლებლის საქმეების გასაფართოებლად.

✦ **ძმურ ნუგეშში.** სამშაბათს, 1 ქრისტეშობისთვეს, ნაშუადღევის $5/^1_2$ საათზე, „ძმურ ნუგეშში“ ჩაიზე ინება დასწრება მეფის ნაცვლის ამალის წევრმა გენერალ-ადიუტანტმა სეიდ-ასფენდიარ-ბოგადურ-ხან-ნახიჩევნელმა, მაკინის ხანთან ერთად. საპატიო სტუმარს დახვდნენ დიასახლისნი და გამგენი „ძმურ ნუგეშისა“ და მრავალნი საპატიო პირნი. დაესწრო აგრეთვე ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი. საპატიო სტუმარი დიდად ნასიამოვნები დარჩა შეხვედრით და ყოველ სამშაბათობით აღუთქვა მოსვლა ჩაიზე. ერთად-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ გასართობი საჩაიეში დამსწეთ არ ჰქონდათ, თუმცა როიალი კი იდგა.

✦ ომში მყოფ მეომართა ოჯახებზე მზრუნველ კომიტეტის წევრად, თ-დ დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილის წინადადებით, მოიწვიეს ბ-ნი მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. გუშინდელს ახალ ამბავში კი შეცდომით იყო მოხსენებული, ვითომც თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი მიეწვიათ. იგი დიდი ხანია ამ კომიტეტის წევრად არის.

ნისტრ-გალიცინს, რომ მისგან დამოკიდებულია თუ ვის გაამეფებს საქართველოში ნადირ შაჰიო. მაგრამ სულ სხვანაირად ჰფიქრობდა თვით შაჰი. ამავე წელს ე. ი. 1735 წელს 10 მარტს განჯაში ახალი ხელშეკრულობა დაიდო რუსეთსა და სპარსეთს შორის რომლის ძალითაც რუსეთმა უკანვე დაუბრუნა სპარსეთს ყოველივე შენაძენი პეტრე დიდისაგან, კასპიის სანაპიროებზედ: ბაქო, დარუბანდი და ასე გასინჯეთ პეტრესაგან აშენებული ციხე-ქალაქი სიკლაქიც კი და მისი ავლა-დიდება ყიზლარში გადმოიტანეს.

ვახტანგს კი, ბედკრულს ვახტანგს საქართველო აღარ დაუბრუნეს, მიუხედავად იმისა, რომ განჯის ხელშეკრულობით სრულიად არ ქარწყლდებოდა რეშტის ხელშეკრულობა, რომელშიაც ნათლად იყო ნათქვამი, რომ თუ ოდესმე სპარსეთმა შესძლო საქართველოს დაბრუნება, იგი ვახტანგს უნდა გადასცეს, როგორც მისი კუთვნილი სამფლობელო. მაგრამ დავიწყებული იყო რეშტის ხელშეკრულობაც და თვით ვახტანგიც, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულობის დროს რუსეთის წარმომადგენლად იყო, ის გოლიცინი, რომელსაც რუსეთმა დაავალა ვახტანგის მოთხოვნილებათა მხედველობაში მიღება.

ამ ხელშეკრულობის შემდეგ ვახტანგს ნება დართეს თუ მოისურვებდა, სპარსეთში დაბრუნებულიყო, იმ საბუთის ძალით, რომ სპარსეთში აღზრდილი ვახტანგი მხოლოდ დროებით იყო საცხოვრებლად შემოხიზნული რუსეთშიო და რადგანაც მისი მიწა-წყალი ეხლა ისევ სპარსეთის სამფლობელო შეიქმნა, ასე უნდა მოეხსენებინა რუსეთს სპარსეთის მთავრობისათვის, თუ ვინიცობაა ვახტანგი მოისურვებდა დაბრუნებას.

ესეც კარგი ნუგეში იყო ვახტანგისათვის! იგი იქამდის იყო საჭირო, ვიდრე რუსეთი სპარსეთთან საქმეს არ გაათავებდა, ეხლა კი შეეძლო წასულიყო საითაც მოისურვებდა.

გულჩამკვდარი და სრულიად იმედ დაკარგული დაბრუნდა ვახტანგი აშტარხანში და აღარსად არ ისურვა აქედგან წასვლა, თუმცა კარგად დიდი მისი ამალა დაჟინებით იწვევდა მოსკოვისაკენ. იგი არ გაჰყვა მათ, ფეხი აღარსად მოიცვალა, უკვე ძალაზედ მოხუცებულმა და ათას ჭირსა და ვარამს გამოვლილმა აქ ამჯობინა უბრალო მწირსავით მყუდროებაში უკანასკნელ დღეთა დალევა. სამშობლო საბოლოოდ დაკარგულია, მახლობელნი, და თანამშრომელნი შორს, გადუწვდენელს რუსეთში გაფანტულნი, ირგვლივ მწუხრი, გაუთავებელი წყვდიადი და ძაძა მოსილი ტატნობი. რაღა ჰქონდა გასახარისი ამ სოფლად ყველაფერის დამკარგავს ვახტანგს. მშვიდად, წყნარად ლევდა უკანასკნელ დღეებს სიცოცხლისას მთელის სამეფოდგან, რომელსაც ისე რიგ შესცქეროდა და შესტრფიალებდა, ეხლა ათი კაცი ღა ქართველი შერჩენოდა ხელში ამ შორეულს ქვეყანაში გადაღუპულს მეფეს. ორს წელიწადს კიდევ იცოცხლა მეფემ ამ უკანასკნელ მარცხის შემდეგ და იქვე აშტარხანში აღესრულა და იქვე იქმნა დაკრძალული. ეს მოხდა 1737 წელს.

ზ. ედილი.

✦ უმაღლეს ქალთა კურსებზე. შაბათს, 5 ქრისტეშობისთვეს, საღამო გაიმართება ღარიბ მსმენელთა სასარგებლოდ.

✦ ვაჟას საღამო. ხარფუხის კლუბში 10 ქრისტეშობისთვეს ფრიად საინტერესო პროგრამით ვაჟას საღამო იმართება.

✦ კლუბების გადასახადი. გუშინ ქალაქის გამგეობის წევრის მ. ა. ჯაბარის თავმჯდომარეობით და თბილისში არსებულ კლუბის წარმომადგენელთა თანადამწრებით შესდგა კრება, რომელმაც შემდეგ ნაირად გააწესრიგა საქალაქო გადასახადი კლუბებზე წლიურად: ახალ კლუბს—6 ათასი მანეთი, რუსულს—5 ათასი, „სობრანიეს“—4,700 მან., „კრუჟოკს“—3,600 მან., არტისტიულს—2,600 მან., ხარფუხისას—950 მ., ნოქართა—650 მ. და ხელოსანთა კლუბს—950 მან. სულ ქალაქის გადასახადი კლუბებისა უდრის 25,200 მანეთს.

✦ საოლქო სასამართლოს სესია გაემგზავრა ჩრდილო კავკასიაში. სხდომები გაგრძელდება 3—20 ქრისტეშობისთვემდე.

✦ წერა-კითხვის წლიური კრების გაგრძელება დანიშნულია 6 ქრისტეშობისთვეს „ახალ კლუბის“ დარბაზში.

✦ ტელეფონების საკითხი. ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს სთხოვა ვიდრე ტელეფონებს მოხსნიდეთ სავაჭრო სახლებიდან საომარ საჭიროებისათვის მას დეეკითხნენ ხოლმე ვინაიდან ვაჭრობა-მრეწველობის საქმე არ შეფერხდეს უტელეფონობით.

✦ მეომარ ოჯახთა სასარგებლოთ ქალაქის გამგეობამ 1500 მანეთი გაიღო პორისა და ჩაი-შაქრის შესაძენათ. ეს თანხა შემდეგ ნაირად განაწილდა უბან-უბან. 1 საპოლიციო უბანში 124 მანეთი გადიდო 68 ოჯახისთვის, მე-2-ში—132 68 ოჯახისთვის, მე-3-ში 55—29, მე-4-ში 78—40, 5-ში 70—36, 6-ში 80—47, 7-ში 240—13, 8-ში 159—82, 9-ში 156—80, 10-ში 115—60, 11-ში 130—67 და 12-ში 83 ოჯახისთვის 47 მანეთი.

✦ ვაჟას ფონდი. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ აცნობა ვაჟას შვილს ლევანს, ჩამოვიდეს თბილისს და თან განსვენებულ ვაჟას ნათესაობის მიერ შემდგარი გეგმა ჩამოიტანოს იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება მიეცეს ვაჟას სახელობის ფულს.

✦ ბოზარჯიანცის თამბაქოს საწყობი წვრილ ვაჭრებს უკლებს 4 მანეთის საქონელზე 18 კაპ., ხოლო 5 მანეთისაზე 23 კაპეიკს. დანარჩენი მეთამბაქოენი კი—ენფიანჯიანცი, სეილანოვი, „კომეტა“ და სხ.—4 მანეთის საქონელზე უკლებენ 50 კაპეიკს და 5 მანეთისაზე—90 კაპეიკს. ამის გამო ზოგიერთმა მოვაჭრეებმა გადასწყვიტეს სრულებით არ წამოიღონ ბოზარჯიანცის საქონელი. ომის დაწყებამდე ყველა მეთამბაქე 1 მანეთის საქონელზე 25 კაპეიკს უთმობდა მოვაჭრეებს.

✦ საქველმოქმედო სასოგადოება. 27 გიორგობისთვეს ქალ. ახალქალაქში, ალ. თ. ყიფშიძის თავმჯდომარეობით, კრება იყო, რომელსაც 22 კაც დაესწრო. კრებამ დაადგინა გახსნას ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მამედ-ალი-ბეგ დადა-ბეგ-ზადე ფალავანდიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად—ბლაღოჩინი მღ. ალ. ს. ზედგინიძე, გამგეობის წევრად—ქ-ნი ა. გ. ჟვანია, ქ-ნი ან. ნ. ჭაბუკიანი, ლომან-ბეგ ბაგრატ-ბეგ ზადე ფალავანდიშვილი, ს. ვ. ნადირაძე და ილ. ს. ალხაზიშვილი; მათ კანდიდატებად—ალ. ს. მიქელაძე, ისკანდერ-ბეგ აბას-ბეგ ზადე აბაშიძე და ალ. ნ. ბერიძე; სარევიზიო კომისიის წევრებად—ლევ. გ. ჭაბუკიანი, ალ. ს. მეფისწვერიძე და ალერიმან აღა ასლან აღა ზადე ჰასანოვი.

1 ქრისტეშობისთვეს საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს ბ-ნი სილ. ხუნდაძე სკოლების მოსაწყობად აჭარაში. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა მოაწყოს ანანურსა და ფასანაურში საკვებ მასალათა საწყობი და მოიწვიო უფროსი ექიმი სამკურნალო პუნქტისათვის ხულოში.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 1 ქრისტეშობისთვეს დაადგინა, 1 იანვრიდან გახსნას კაბალზე პირველ-დაწყებით სკოლა, რომელშიაც სწავლება ახალ კანონის თანხმად იქნება დაყენებული, ე. ი. ყველა განყოფილებაში და ყველა საგნებისა ქართულ ენაზე.

✦ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების წევრთა წლიური კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას, 6 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე, „ახალი კლუბის“ დარბაზში.

✦ ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება. ბათუმიდან, 20 გიორგობისთვეს არდანუჯში ჩამოვიდა ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტის წევრი ბ. უსუფხანოვი და თან ჩამოიტანა აჭარელებისათვის 2,000 ფ. ფქვილი, 200 შაქარი, 200 ფ. საპონი, 4 ფ. ჩაი და 8000 არშინი მიტკალი და ბამბაზია. დარიგების დღეს მოვიდა თვით კომიტეტის რწმუნებული ბ. სულთანოვი, რომელიც შემდეგ სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან ერთად გაეგზავნა ართვინის ოლქში 85,000 მანეთის დასარიგებლად სულზედ 9 მ. აძლევდნენ. როცა ზემო და ქვემო აჭარაში დაამთავრებენ სათბილობლების დარიგებას, კომიტეტის თანამშრომლები გაემგზავრებიან მურღულის და ლევისყელის ხეობაში, სადაც დაწვრილებით გამოიკვლევენ საჭირო დახმარების რაოდენობას. არდანუჯის მხარეს დაზარალებული ყოფილა 14 სოფელი, ხოლო იმერხევში კი—42. მთელი ართვინის გარშემო მდებარე სოფლები, რომელთა რიცხვი ომის დაწყებამდის თითქმის ასამდე იყო, დღეს სრულიად მიწასთან გასწორებულია. არის ისეთი სოფლებიც, რომელიც თუმც გადარჩენილან ცეცხლისაგან. მაგრამ სრულებით დაცლილია. ბ. სულთანოვის აზრით ახლავე დაუყოვნებლივ უნდა დაარსდეს ამ ადგილებში სასურსათო საწყობები. ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო კომიტეტის რწმუნებულს უკვე აღუძრავს შუამდგომება მთავრობის წინაშე.

✦ ჯარში გაწვეული ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კავკავის სკოლის მასწავლებელი, გრ. მაჭავარიანი, ავადმყოფობის გამო დროებით გაუნთავისუფლებიათ სამსახურიდან. საზოგადოების გამგეობის დავალებით იგი გაემგზავრა კავკავს წინანდელ თავის ადგილზე.

✦ შაბათს, 5-ს ქრისტეშობისთვეს მოხდება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა** ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც განაგრძობენ ს. გორგაძის მოხსენების ქართულის მართლწერის დანარჩენ მუხლების განხილვას.

✦ გადმოხვეწილ სომეხთა ბავშვებისათვის პეტროგრადის სომეხთა კომიტეტმა თავშესაფარი დააარსა კარაკლისში. თავშესაფართან წერა-კითხვის სკოლაც იქნება. თავშესაფარში 175 ბავშვი მოთავსდება.

✦ შიო მღვიმელის პატივსაცემლად. ქალთა წრემ საბოლოოდ გადაწყვიტა, მგოსნის შიო მღვიმელის პატივსაცემლად გამართოს სადღესასწაულო დილა სახაზინო თეატრში 14 იანვარს. თეატრი იაფად დაუთმო წრეს ბ-ნმა ევლახიშვილმა.

✦ საბებიო ინსტიტუტის შენობა. მეფის ნაცვლის კანცელარია შეეკითხა საბებიო ინსტიტუტის აღმაშენებელ კომისიას, შეგიძლიათ თუ არა ქალაქთა კავშირს დაუთმოთ ლაზარეთისათვის ინსტიტუტის ახალი შენობაო. კომისსამ უარი განუცხადა კანცელარიას, რადგან ამ შენობაში საბებიო სოლა არის მოთავსებული.

✦ იროდიონ ევდოშვილი, რომელიც სამკურნალოდ იქმნა გაგზავნილი ქ. სოხუმში მოუთავსებიათ „ელლადას“ სანატორია—პანსიონში.

✦ წმ. ბარბარობა. დღეს და ხვალ წმ. ბარბარეს ეკლესიები ქვეითა და ზემოთი თავის ტაძრის დღეობასა უქმობს.

✦ ახალი სკოლა. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა სოფ. კაბალში, (სილნაღის მაზრა), სკოლის დაარსების შესახებ პირველ იანვრიდან.

✦ საზ. „მეურნე“-ში. გუშინ თ-დ მ. დ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით შესდგა არა ჩვეულებრივი კრება მომხმარებელ ამხანაგობა „მეურნისა“. კრებაზე გადაწყდა მიღებულ იქმნას სწრაფი ზომები „მეურნის“ სავაჭრო სახლის გახსნაზე პირველ იანვრამდე.

✦ „კავკაზსკოე სლოვო“ დღეს არ გამოსულა ასოთ ამწყობთა გაფიცვის გამო.

✦ გადმოხიზნულთა თავშესაფარი თელეთში. გუშინ სომეხთა ეპარქ. უფროსმა ეპ. მესროპმა კ. მ. ალიხანოვისა და ს. არუთინიანის თანხლებით დაათვალიერეს თელეთის ეკლესიის შენობები, სადაც სომეხ გამოხიზნულთა თავშესაფარი უნდა იქმნეს მოწყობილი.

✦ სამოსწავლო ოლქის უფროსის ანგარიშები. დაიბეჭდა და გამოვიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის შრომა, შესახებ პირველ დაწყებით სკოლების ორგანიზაციისა, სპეციალური საპედაგოგო კურსებისა და საპროფესიანალო და სავაჭრო განყოფილებების მოსაწყობად ქალთა გიმნაზიებთან.

✦ რევიზია. საგუბერნიო სამხედრო ბეგრის საკრებულოს წევრმა თ-დ ი. დ. ოფხაზმა, ხარკის ამკრებ ინსპექტორის ბ. გორინთან ერთად რევიზია გაუკეთა მეომართა ოჯახების კომისიის საქმის წარმოებას.

✦ მეომართა-ოჯახების მესამე ნაწილის სამზრუნველოს თავმჯდომარემ პ. მ. დოლუხანოვმა სამსახურს თავი დაანება. მის ნაცვლად დაინიშნა ვ. ი. წოვიანოვი.

✦ თბილისში ჩამოვიდა სომეხთა საეპარქიო უფროსი ეპისკოპოსი მესროპი.

ქუთაისი

ქუთაის-ს მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული მამულების საჯარო ვაჭრობა დაიწყება 7 ქრისტეშობისთვიდან.

— დასავლეთ საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელთა კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ მთავარი გამგეობის შემადგენლობა აირჩეოდეს არა მარტო თბილისიდან არამედ საქართველოს ყველა კუთხეებიდან.

— ამ მოკლე ხანში ქუთაისში სახალხო მასწავლებლები გამოსცემენ პედაგოგიურ-ლიტერატურულ თვიურ ჟურნალს.

— **წამალი ჭლექის წინააღმდეგ.** ამ დღეებში სენაკის მაზრიდან ქუთაისში ჩამოვიდა ყარამან ოდიშარია, რომელსაც გამოუგონია ჭლექის წამალი ეგრედ წოდებული „ცრემლები“. ამ წამალს ბ-ნი ოდიშარია ამზადებს მცენარეებით, რომელიც იზრდება სამეგრელოში. ამ შრომისათვის მას მოუნდომებია 20 წელიწადი და თავის მიზნისათვის მიუღწევია 1914 წ. როგორც ბ-ნი ოდიშარია ამბობს, მას შეუძლია ჭლექიანი, რაც უნდა მძიმე ავად იყოს იგი ერთი თვის განმავლობაში გაანთავისუფლოს ამ საშიში სენისაგან. მან შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ნება დართონ ავადმყოფებს უექიმოს. საყურადღებოა რამდენად მართალი გამოდგება ბ-ნ ოდიშარიას გამოგონილი წამალი.

— ქუთაისში ჯარში გაწვეულთა უმწეო ოჯახები დიდ გაჭირვებას განიცდიან. განსაკუთრებით უშეშობის გამო სიცივით კვდებიან.

პიატიგორსკი

მაშუკის მთის სამხრეთის ფერდობზე 36 საჟენის სიღრმეზე ახალი მადნეული წყარო აღმოაჩინეს, რომელიც პიატიგორსკის ნარზანის მსგავსია.

საინგილო.

შირაქში ამ დღეებში დიდი უბედურება დატრიალდა. წელს შირაქში მეტის-მეტი წვიმებისაგან დიდი ბალახები მოვიდა, რის გამოც მეცხვარეები ბალახს ცეცხლს უკიდებენ, რათა ახალი ბალახის ამოსასვლელად გზა გაეწმინდათ. ერთ ამგვარ ცეცხლის წაკიდების დროს, დიდის სიჩქარით გავრცელდა დიდს მანძილს მიეცა და ორს ადგილას ცხვარი იმსხვერპლა. ერთს მეცხვარეს ოთხასი ცხვარი დაეწვა, მეორეს ხუთასი სული.

— საინგილოში ამ ბოლო დროს მღვდლებად ყოვლად უვიცს ნადიაკვნარებსა ნიშნავენ, რომელთაც თითქმის არავითარი სწავლა-განათლება არ მიუღიათ. თუ რასაკვირველია საჭიროა საზოგადოდ სოფლად განათლებული სამღვდელოება, ეს მით უმეტეს საჭიროა საინგილოსთვის, სადაც ხალხი ისეთს სიბნელის მორევში იმყოფება, რომლის მსგავსიც იშვიათია სადმე იყვეს. აქ კი ასეთს ადგილებში, სადაც სამღვდელოება უზრუნველყოფილია ჯამაგირით, ნაკლებად მომზადებულნი და ხშირად უვიცნიც ინიშნებიან მღვდლებად. ხალხში უკმაყოფილება გაისმის ყველგან. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

იროდიონ ევდოშვილი სოხუმში

მგოსან იროდიონ ევდოშვილის მგზავრობისა და სოხუმში დაბინავების შესახებ მისმა მხლებელმა აპ წულაძემ შემდეგი გადმოგვცა: მგოსნის წაყვანა ხმელეთით შეუძლებელი გახდა, რადგან, როგორც დაგვარწმუნეს გზა უვარგისიც არის და სახიფათოც, ზუგდიდის მაზრის მიდამოებში თითქმის ყოველდღე თავს ესხმიან მგზავრებს ავაზაკები. ფოთიდან გემების წესიერი მიმოსვლა არ სწარმოებს, მაგრამ მაინც გადაბწყვიტეთ გემისთვის გველოდნა. ორი დღის შემდეგ გვაცნობეს, რომ გემი გადისო. ფოთელმა პატივისმცემლებმა მგოსანი გულმხურვალედ მიიღეს, ზოგმა კიდეც ინახულა, ნიშნად თანაგრძნობისა უყიდეს მეორე კლასის სამგზავრო ბილეთი (ორი—14 მან.) და 10 მანეთიც ეტლისათვის გადასცეს. სასტუმროში ინახულა სამხედრო ექიმმა ბ-ნმა კოწია მიქაბერიძემ. გაამხნევა და რჩევა-დარიგება მისცა. სასტუმრო „კოლხიდის“ მოიჯარადრემ შ. ბოლქვაძემ შეურაცხყოფად მიიღო ბინის ქირა აეღო.

შაბათს, 21 გიორგობისთვეს, დილის 10 საათზე ფოთიდან პატარა გემით გავედით და საღამოს 7 საათზე სოხუმში შევედით. ზღვაზე მგზავრობისას იროდიონი თავს ყოჩაღად გრძნობდა და არც ზღვას უწყენია. მგოსანი იმ ღამეს სასტუმროში დავაბინავეთ, იმ ღამესვე ის ინახულა მასწავლებელმა ნიკო ჯანაშიამ. მეორე დღეს ბ. ჯანაშიას და ი. ლ. გეგელაშვილის დახმარებით იროდიონი დავაბინავეთ კერძო პანსიონში („ელადა“-ში). პანსიონის ბინა ზღვას გადასცქერის, ოთახი ფართო და სინათლიანია, მაგრამ მგოსნის ჯიბისთვის დიდად ძვირი და მიუწდომელი—თვეში 14 თუმანი. (ამაში არ შედის სარეცხი, ექიმი და წამალი). იროდიონი ვერ ბედავდა ასეთი ბინის აღებას, მაგრამ ნ. ჯანაშიამ გააბედვინა და აღუთქვა დაგეხმარებითო. დახმარების იმედი იროდიონს ნაკლებად აქვს და კიდეც უმძიმს დახმარების მიღება. ის ამბობს, თუ ჩემი წიგნების შემოსავალი არ მომწვდა 5—6 თვის ნაცვლად (საჭიროა აპრილის გასვლამდე იქ დარჩეს), ორ თვეს მაინც დავრჩებიო.

დაბინავების მეორე დღეს ის ინახულა ექიმმა ბ-ნმა გრიგოლიამ და აღუთქვა, ყოველთვეს დაგხედავ ხოლმეო. საჭირო წამლის უფასოო მიცემა იკისრა ქალაქმა თავისი აფთიაქიდან.

იროდიონი თავს კარგად გრძნობს, გულგატეხილი არ არის. ოთახში დადის, სიცხე არ აქვს, ოფლს არ აძლევს, მადა მშვენიერი აქვს, აპრილის შემდეგ ოცნებობს აჭარა თავის თვალით ინახულოს, რამოდენიმე თვე იქ დარჩეს და აჭარლების ცხოვრებიდან დაწეროს რამე.

ამ რიგად მგოსანს სოხუმში ცხოვრება თვეში 20 თუმნამდე დაუჯდება.

მიტროპოლიტ პიტირიმის დეპეშა

მხურვალე მადლობას გიძღვნით, ძვირფასო თავადო, თქვენ და დიდებულ საქართველოს შვილებს. მრწამს ივერიის ეკლესიის უკეთესი მერმისი.

მიტროპოლიტი პიტირიმი.

—

ეს დეპეშა მიიღო ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თ. ო. ნიჟარაძემ შემდეგ დეპეშის პასუხად: მთელი საქართველო მოხარულია დიდებულ და საყვარელ მონარქისა, ივერიის ეკლესიის პატივცემულ მწყემსისადმი ყურადღებისთვის, რომელმაც კეთილ ინება და დაგნიშნათ პეტროგრადის და ლადოგის მიტროპოლიტად ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს მოგიძღვნათ გულითადი მილოცვა დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა და ხალხის მაგივრად. გულწრფელად გვწამს, რომ თქვენი მწყემსობრივი სიყვარული ივერიის ეკლესიისადმი დასძლევს დიდ მანძილს, რომელიც მას გაშორებთ და დაგამთავრებინებთ თქვენ მიერ დაწყებულ საქმეს, უძველეს მართლმადიდებელ ეკლესიის აღდგენისას. ყოვლად შემძლე ღმერთს ვსთხოვთ შემწე გეყოთ ყოველ თქვენს მძიმე საქმეში და აგრეთვე ჩვენც ნუ დაგვაკლებს თქვენს მოძღვრულს სიყვარულს და ზრუნვას.

საყურადღებო კრება

ქუთაისი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან.)

როგორც ამას წინათ იყო მოთავსებული წერილი ჩვენს გაზეთში, წერა კითხვის გამავრცელ საზოგადოებას ქუთაისის გუბერნიაში არსებული განყოფილებებისათვის მიეცა სამუშავარი თავის რაიონებში, რომ საზოგადო საქმე უფრო ნაყოფიერათ შესრულებულიყო. ამისთვის ქუთაისში 29 გიორგობისთვისათვის დაინიშნა განყოფილებების წარმომადგენელთა კრება საათბიროთ.

ამ საკითხს, სამწუხაროთ, ზოგიერთა განყოფილებებმა სხვანაირი თვალსაზრისით შეხედეს და ეჭვი დაებადათ, ვითომც ქუთაისის განყოფილებას სურვილი ჰქონდა გამოყოფოდა მთავარ გამგეობას და დაეარსებია მეორე ცენტრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ქუთაისში. მათ გამოექომაგა ერთ ერთი ქართული გაზეთიც.

ასეთი აზრი ქუთაისის განყოფილებას სულაც არ მოსვლია. საკვირველია მხოლოდ საიდან მოჭორეს ასეთი ამბავი.

ქუთაისის განყოფილების გამგეობას ასეთივე კრება მოწვეული ჰყავდა 1910 წელს, რომელსაც ასეთი კრების წინაალმდეგ თავის აზრი არ გამოუთქვამს. მაშინდელ კრებაზე განყოფილებებმა დაიყვეს მთელი გუბერნია სამოქმედო რაიონებათ, მაგრამ იმ დროს განყოფილებების რიცხვი მეტად მცირე იყო. ასეთი დადგენილება სისრულეში ვერ მოიყვანეს და მთელი შრომა დასავლეთ საქართველოში, ისევ ქუთაისის განყოფილებას დააწვა.

29 გიორგობისთვეს ქუთაისში მოწვეული იყო სულ 16 განყოფილების წარმომადგენელი, მაგრამ კრებაზე 6 წარმომადგენელის მეტი არ გამოცხადებულა. ამ ექვს წარმომადგენელთა რიცხვში შედიოდა აგრედვე ადგილობრივი განყოფილებაც. კრება რასაკვირელია ასეთი მცირე რიცხვის დასწრების გამო უკანონო იყო, მაგრამ მაინც მოისურვეს ეთათბირათ. განყოფილებების ზოგმა წარმომადგენელმა ეჭვი გამოაცხადეს, ვითომც ქუთაისის განყოფილებას გამოყოფა უნდოდეს მთავარ გამგეობიდან, მაგრამ ადგილობრივმა განყოფილების გამგეობამ ისინი დაარწმუნეს, რომ პირიქით მათ დიდი სურვილი აქვთ მთავარ გამგეობას დიდი დახმარება გაუწიონ და შრომა შეუმსუბუქონ. მხოლოდ ქუთაისის განყოფილების მიზანი იყო გაცნობოდა დანარჩენ განყოფილებებს და მათთვის ჩაებარებია რაიონები, რომ მათს რაიონებში მოღვაწეობა გაეწიათ. კრებაზე ისიც კი გამოირკვა, რომ ქუთაისის განყოფილებას ისიც არ სცოდნია თუ დასავლეთ საქართველოში რამდენი განყოფილება არსებობს და რომელ განყოფილებას რომელი სამკითხველო და სკოლები დაუარსებია და ამას ყველას გამორკვევა უნდოდა და მიზანიც ეს იყო კრებისა.

კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ ყველას ნუ მიეცემათ განყოფილების გახსნის უფლება. როგორც ვიცით, განყოფილების გახსნისათვის წესდების ძალით საჭიროა რომ 30 წევრი შეიკრიბოს. ამისთვის მოინდომეს, რომ 30-ს ნაცვლად 100 გაეხადათ და ამ რიგად ყველა პროვინციებში განყოფილებებს ვერ გახსნიანო, მაგრამ ასეთი აზრი არ მიიღეს.

შემდეგ გადავიდენ განყოფილების მიერ წამოყენებული საკითხების განსახილველად.

1) ყოველ წლობით ქალ. ქუთაისში ქუთაისში მოხდეს ყველა განყოფილებების წარმომადგენელთა კრება თუ მეტჯერ არა ერთხელ მაინც.

2) დამსწრე წარმომადგენლებმა საქმედ რაიონებათ აიღეს ის ადმინისტრატიული რაიონები, რომელსაც თვითონ ეკუთვნიან. აგრეთვე დაადგინეს, სთხოვოს იმ განყოფილებებს, რომელთა წარმომადგენელნიც არ დასწრებიან შეატყობინოს თუ რომელ რაიონებს აიღებენ სამოქმედოთ.

3) ქუთაისის განყოფილებას ჰყავს საკუთარი მეთვალყურე სამკითხველოებისა და აგენტი, რომელიც პროვინციებში ავრცელებს ქართულ წიგნებს. ქუთაისის განყოფილების სურვილი იყო სამკითხველოების მეთვალყურეცა და წიგნების გამავრცელებელი აგენტიც საერთო ყოფილიყო ყველა განყოფილებისათვის, მაგრამ ეს უხერხულად იცვნეს და დაადგინეს: ყველა განყოფილებამ იყოლიოს საკუთარი მეთვალყურე სამკითხველოებისა, რომ საქმე უფრო კარგად დადგეს. და რაც შეეხება წიგნების გამავრცელებელ აგენტს მას ხელი შეუწყოს ყველა განყოფილებამ, როდესაც მათ რაიონში მოუხდება წიგნების გავრცელება.

4) ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ ქუთაისის განყოფილებას სურვილი ჰქონდა, დანარჩენ განყოფილებებს თვეში ერთხელ გამოეგზავნათ ყოველივე ცნობები. ხოლო ქუთაისის განყოფილება ამ ცნობებს დანარჩენ განყოფილებებს გადასცემდა, მაგრამ ამის ნაცვლად დაადგინეს ყოველივე ცნობები გაეგზავნოს მთავარ გამგეობას, რომელმაც ასეთი ცნობები უნდა მოათავსოს ჟურნალ „განათლებაში“ ხოლო „განათლებას“ მიეცეს გადიდებული დახმარება.

5) ქუთაისის განყოფილების საზოგადო კრებაზე ყოველთვის უნდა დაესწრონ დანარჩენი განყოფილებების წარმომადგენელნიც.

6) გაიგზავნოს ქუთაისიდან პროვინციებში ლექტორი, რომელიც მშრომელ ხალხს გასაგებ ენაზე წაუკითხავს ლექციებს.

7) დასასრულ დადგინეს, რომ წელიწადში ერთ დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებებმა თავ-თავის რაიონებში გამართოს სეირნობა ან სხვა რაიმე გასართობი, რომლის მთელი შემოსავალი რაიმე საზოგადო საქმისათვის გადაიდება. დღის ამორჩევა და აგრედვე თუ რა მიზნისათვის უნდა გადაიდოს ეს ფული ამის გამორკვევა მიანდვეს მთავარ გამგეობას.

ნი—რი.

პროვინციის ქრონიკა

ჭიათურა.

28 გიორგობისთვეს მოხდა დრამატიულ საზოგადოების კრება.

სამეფისნაცვლოში არსებულ კულტურულ საზოგადოების კავშირთა კრებებზე მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე პირი აირჩიეს.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა **ვაჟას, ჭოლას** და სხვათა ხსოვნას.

— ჭიათურასა და საერთოდ მთელ დასავლეთ საქართველოში ცუდი ამინდებია, გამუდმებით წვიმს.

— მსახიობ არაბიძის მონაწილეობით აქ ყოველ კვირას იმართება წარმოდგენები.

ბ ა ქ ო.

1 ქრისტეშობისთვეს ინჟენერ ჟაკის თავმჯდომარეობით გაიხსნა ბაქოს და მის გუბერნიის ნავთის მრეწველთა მე-34 ყრილობა.

— ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

— ბაქოში ბრძანება გასცეს, 15 ქრისტეშობისთვემდე შეადგენილ იქნას 1897 წ. დაბადებულთა სია, რომელნიც ახლო ხანში ჯარში იქმნებიან გაწვეულნი.

ქ. ერევანი.

გუბერნატორის განკარგულებით ერევანში გამოცხადდა კანონი მაღაზიების პატრონთათვის, რომლის ძალითაც სავაჭროები ნაცვლად დილის 6 საათის გაღების და საღამოს 6 ნახ. საათზე დაკეტვისა, გაიღება დილის 8 საათზე და დაიხურება საღამოს 8 საათზე. კვირაობით დილის 9 საათ. შუადღის 12 საათ. ეს წესი უფრო იმიტომ შემოიღეს, რომ მახლობელ პოზიციიდან მოსულ სამხედრო პირთ საღამოთი საჭირო ვაჭრობის საშუალება ჰქონდეთ.

გ ო რ ი.

ქ. შ. წ. კ. ს. თავმჯდომარემ ბ-ნმა ნიკო შიუკაშვილმა უკვე მიიღო 200 მანეთი ალექსანდრე ყიფშიძისაგან. ეს ის ფულია, რომელიც ამას წინად უცნობმა შესწირა ნიკო ლომოურის სახელობის ფონდს.

— ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიაში ქართულ ენის მასწავლებლობას დაუბრუნდა დ. ონიაშვილი, რომელმაც თანამდებობას ამას წანად თავი დაანება.

— წარსულ 28 გიორგობისთვეს გორში შაქარს ჩაის და თბილს ტანთსაცმელს აგროვებდნენ მებრძოლ ჯარისთვის მომავალ დღესასწაულზე საჩუქრად.

— შაქარი გორში კვლავ აღარ მოიპოვება.

დუშეთი.

24 გიორგობისთვეს დუშეთში დაადგინეს გახსნან საკოოპერატიო დუქანი.

ფოთი.

13 ქრისტეშობისთვისთვის ფოთში დანიშნულია ებრაელთა რაბინის არჩევანი.

— ქალაქში აღარ იშოვება შაქარი.

— აქ ქუნთრუშა გავრცელდა.

ლიხაური (გურია)

27 წარსულ გიორგობისთვეს ამ სოფელში მეტად საზარელი და გულშემზარავი ამბავი მოხდა. ადგილობრივ მცხოვრების ერ. სალუქვაძის შვილი ბრძოლის ველიდან ფეხში დაჭრილი დაბრუნდა, დაბრუნების პირველ ღამესვე ჭკუაზე შესცდა, მივარდა მძინარე დედას და ძუძუ მოსჭამა, ხოლო დანით რამოდენიმე ალაგს სასიკვდილოდ დასჭრა.

დ. ახალ-სენაკი

27 გიორგობისთვიდან აქ დაიწყო სამღვდელოებათა ყრილობა.

— ამ ბოლო დროს ახალ-სენაკში

გაჩნდნენ აფერისტები, რომელნიც ჯარში გასაწვევ პირთ ფულს სტყუებენ და სალდათობიდან განთავისუფლებას ჰპირდებოდენ, მხოლოდ ფულის ხელში ჩაგდების შემდეგ სადღაც იმალებიან. საჭიროა ასეთ მავნე პირთა საჩქაროდ ალაგმვა.

— სენაკში სანოვაგე საარაკოდ ძვირდება. შაქარი აქეთ სრულებით აღარ იშოვება.

ა რ მ ა ვ ი რ ი

სხვა და სხვა ადგილების გამოქცეულთათვის უმაღლესმა მთავრობამ სკოლების გახსნა განიზრახა. სკოლები 4 ადგილას უკვე გაიხსნა, მაგრამ ეხლა მასწავლებლები ვერსად იშოვეს, საქმე იმაშია რომ არვინ თანხმდება დროებით მასწავლებლობას, რადგან ჯამაგირი ძლიერ მცირეა (41 მანეთი თვეში) პირობები კი მეტად სამძიმო.

კახეთის რკინის გზაზე

20 წარსულ თვეს ღამის ათ საათზე 8 შეიარაღებული ბოროტ-მომქმედი თავს დასხმია კახეთის რკინის გზის ყაზარმას, მუშები თურმე ამ დროს სამუშაოზე აღებულ ფულს ინაწილებდნენ. თავდასხმელებმა ძალით შეამტვრიეს ყაზარმის ფანჯარა. შევიდენ ყაზარმაში და მუშებს 504 მან. წაართვეს, წაიღეს აგრეთვე ყველა სუფთა ტანსაცმელი, ხელში დასჭრეს ალი ჰუსეინ ოღლი, რომელმაც თავის ფული არ მისცა. სართიჭალის ბოქაულის მეცადინეობით ბოროტ-გამზრახველები ამ დღეებში სოფ. აღტაღლში შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

დაგა-სოფლები

სოფ. გურჯაანი. წელს გურჯაანში ჯერ ახლად იყო თვალი შესული ვენახში, რომ დაფაცურდნენ ჩარჩები. ან კი, ღმერთო ჩემო, იქამდის როგორ მოითმინეს, უნდოდათ ერთი ღმერთს პირჯვარი გადაეწერა და ჩქარა მოწეულიყო. პატრონს ისე არ ეშურებოდა, როგორც იმათ. როგორც იყო, დადგა ეს იმათთვის გასახარი დროც—მომწიფდა. ყველას რაიონებათა აქვთ დაყოფილი. ერთი ჩარჩი, რომ ერთ ადგილას წავიდეს, მეორე სხვა ადგილას მიდის და ამნაირად შინჯავენ ვენახებს, რათა პირადად იყიდონ ნამსხმოიარე და როგორმე პატრონი მოატყუონ. პატრონი თავისთვის ნელა-ნელა მუშაობს ვენახში და რა იცის საწყალმა, რა ფასები ექნება ღვინოებს; ჩარჩსავით გამოქნილი კი არ არის, რომ ერთის წლის წინეთ გაიგოს ყველაფრის მაზანდა. დაფასებისაც კი სცხვენიან, შარშან ოთხ-ხუთ თუმნად გავყიდე საპალნე და ეხლა ოცი ან ოცდა ათი თუმანი როგორ დაეუფასოვო. ჩარჩმაც იცის იმისი გულუბრყვილობა და უხარიან, ეს ხომ ჩემს კლანჭებშია და როგორც უნდა, თუ პირად მორიგდა, თუ არა და ჩაფს სამ ოთხ მანეთად ხომ იყიდის და იყიდის; ისიც თავის ჭაჭა-თხლით. ჰოო იმას ვამბობდი: როგორც იყო მომწიფდა, ვინც მოასწრო პირად ყიდვა, ვინც ვერა და ეხლა სახლებში დაიწყეს სიარული, რათა, ახლა ტკბილათ იყიდონ. აქაც შეხვდებათ ერთი ვინმე გაჭირვებული დაინარჩუნებენ როგორც უნდათ წვადაგვით მოყვანილს მოსავალს. ერთი კიდევ სხვა ხერხი იციან: წელს მოგცემენ ფულს სამერმისოდ, როგორც მოგირიგდება, მაგალითად საპალნეში სამ ან ოთხ თუმანს სულ ბევრი, და ამ ნაირად მომავალ წელს შენი მოსავლიდგან მოგივა თუ არ მოგივა, შენი ვალი უნდა მისცე. აი მაგალითად ერთი როგორი ამბავია: (ეს ერთი მრავალთაგანია) ერთ ა. არაქელიანცს მიუცია აქაურივე გლეხ ივანე ჯოხაძესთვის ოცდა ხუთი თუმანი ამ პირობით: გლეხმა ივანემ უნდა მისცეს არაქელიანცს ათი საპალნე ღვინო ამ ნაირად: უნდა თავისი მოსავლის ნახევარი მისცეს ყოველ წელს, სანამ ათ საპალნეს შეუთავებდეს. წელს ამ ივანეს მოუვიდა ათი საპალნე ღვინო, მიადგა ჩვენი არაქელიანცი და გინდა თუ არა, ნახევარი მე უნდა მომცეო. გაგონილა ამისთანა ნაცილი?! ხუთი საპალნე წლევანდელ კვალობაზედ სულ უკანასკნელი ას ორმოცდა ათი თუმანი ოცდა ათ თუმნობაზედ (წელს აქ საპალნე ოცდა თვრამეტამდის ფასობს) შარშანდელს მიცემულს საპალნეში 25 მანეთს, ერთი წლის განმავლობაში ოცდა შვიდ თუმანს და ხუთ მანეთს აგებინებს. ამაზე მეტი გაუვლეფა შეიძლება ადამიანისა? გლეხმა ივანემ ორი საპალნე აძლია, ქაღალდიც დაუხიეს ?! არ ჯერდებოდა ?! არ ვიცი რით დაბოლოვდებოდა ეს საქმე. მაგრამ განა მარტო აქამდის მიდის ჩვენში ჩარჩების თავგასულობა?! ეს ერთია და სხვა ათასი. აი ჭაჭა-თხლისა კიდევ რაიციან: მაგალითად მოგცემს სამ-ოთხ თუმანს „უსარგებლოდ“ როგორც თითონ ეძახიან, და შენ იმათთან უნდა გამოხადო რაც ჭაჭა-თხლე გექნება სანახევროდ, ნახევარი არაყი იმისია და ნახევარი, თუ ისიც არ მოგპარა, შენი. თან იმას გეუბნება „ვა, აი, უსარგებლოდ არის ჩემი ფული შენთან, ნეტავ სიკეთე მაინც დაინახოვო“ და მერე თუნდაც მიუტანო ფული, არ იღებს „ჯერ რა გეჩქარება, იყოს შენთან, ხო სარგებელს არ გართმეო“...

ამნაირი სიტყვებით ხიბლავს კაცს და იმასაც ჭგონია, იმ უბედურს, ამაზე პატიოსანი კაცი არ იქნებაო.

შე მამაცხონებულო, ამაზე მეტი სარგებელი-ღა,—წელიწადში თუმანს სამ-ოთხ თუმანს აგებინებ ჩემი არყიდან. ასეთია ძმაო დღევანდელი სოფლის ვითარება და ვინ უწყის, როდის მოეღება ბოლო იმათ თავ-გასულობას, თუმცა-კი საბედნიეროდ ხალხმა ნელ-ნელა გაიცნო იმათი წმინდა გული.

———

წელს გურჯაანში მიწის მზომელი მოვიდა და ნაყმევებს თავიანთი მებატონიდან მიცემული ნაჭერი მამულები მიეზომათ.

გლეხებს რადგან პირველიდან მეტ-მეტი ჰქონდათ დაჭერილი, ხშირად მეტი მოსდიოდათ. თითო ნაყმევზედ გადაწყვეტილია ხუთ-ხუთი დესეტინა, რაშიაც ჰყვება სახნავი, სავენახე და სამოსახლო ადგილები, მაგრამ როგორც წინედ ვსთქვი, ხშირად მეტი მოსდიოდათ, რაშიაც ზოგს ვენახი ჰქონდა გაშენებული, ზოგს რა და ზოგს რა. წარმოიდგინეთ ისეთი მოუსვენრები არიან ეს ჩარჩები, რომ აქაც-კი წამოყვეს კლანჭები. მებატონე მოვალეა რაც მეტი მოუვა თუ ის თითონ არ სჭირდება, აუცილებლად ისევ თავის ნაყმევს უნდა მიჰყიდოს და არა სხვას ვისმეს, მაგრამ სხვების გარდა ერთი მებატონე ქალი ასე არ მოიქცა. მაგალითად მეტი, რაშიაც აშენებული ვენახიც ეტანებოდა, ამდგარა მებატონე, არ ვიცი ფულის სიხარბეს დაუძლევია თუ რას, ქადაგიშვილებისათვის არც კი გაუგებინებია და ვიღაც ჯალალიანცისათვის მიუყიდნია, ვიზედაც მაშინვე დაუყორღნინებია მამული, თურმე თან სდევს ეს ვაჟბატონი, როდის დაიზომება ის მამულიო, რადგან მის ვენახს გვერდზედ აკრავს. (ეს ის ჯალალიანცია, რომელმაც გურჯაანელებს, სახელდობრ „ახალ სოფელს“ ფული დასტყუა 1912 წ. წყალს გამოგიყვანთო და დღესაც, ცარიელი თხრილის მეტი, რომელიც ხევმა უკვე ამოავსო, არაფერია). გაუგიათ ეს ქადაგიშვილებს, მისულან მებატონესთან და ჯალალიანცს თუ ოცდა ხუთი თუმანი მიუცია, იმათ კიდევ ოცდა ათი მიუციათ, რაც გამოურთმევია.

ეხლა ჯალალიანცს თურმე უკან უბრუნებს ფულს, მოვტყუვდიო, ის არ იღებს ფულს, მე მამული ვიყიდეო, და არ ვიცი ვის დარჩება მამული.

თანაც ჯალალიანცი ამას ამბობდა, როცა ხალხი ამტყუნებდა, რომ შენ ნება არა გქონდა მაგნაირ მამულში შესულიყავიო: „რა არის რო ვიყიდე, ი მებატონესთვის რო არ მიეცათ ფული, ერთ ათ თუმანს მე მომცემდნენ მოგებას და ისევ მაგათ მივყიდდიო“. აი თურმე რა ჰქონია გულში, თუ დამრჩა თუ არადა ეს მოგება ხომ იქნებაო! იმას კი რო იმთენი არ მიეცა, ქადაგიშვილებს, ძალიან მეტი, ათ თუმნად დარჩებოდათ.

კარგია მებატონეებმა მხედველობაში მიიღონ და როცა ჰყიდდნენ, ისევ თავიანთ გლეხს მიჰყიდონ ხოლმე. „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო“, ეს ჩვენი გონიერი მამა-პაპური ნათქვამი ანდაზა მაინც მოვიგონოთ, მაშინ არც შინაური დაგვცინებს და არც გარეული.

ჯავშნიანი.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ეგ. ნინოშვილის საღამო.

22 გიორგობისთვეს ქუთაისში ქართული დრამის მსახიობებმა, ეგნატე ნინოშვილის საღამო გამართეს.

ამ საღამოზე თეატრში უფრო დაბალი საზოგადოება იყო. ნაკლებად თუ მოსჩანდა ინტელიგენცია და ისინი, რომელთაც თავი საზოგადოებათა მეთაურებად მოაქვთ.

გაისმა მესამე ზარის ხმა და ფარდის ახდისას გამოჩნდა შავად მორთული ოთახი, რომელსაც ამშვენებდა ეგნატეს სურათი, სურათი—ნაზი, მიმქრალი და სასოებით აღსავსე სახისა.

მოხსენება მწერლის შესახებ წაიკითხა ბ. ია ეკალაძემ. მან აღნიშნა, რომ თანამედროვე კრიტიკა ჩვენი მწერლების შესახებ სიმართლეს არ აღიარებს. არ აქცევენ აგრედვე ყურადღებას ეგ. ნინოშვილს და მასზედ დაბლა მდგომ მწერალს ბევრჯელ მაღლა აყენებენო. ბ. ეკალაძემ ხაზი გაუსვა იმ სიტყვებს, რომ ეგნატე იმ კლასის მთავარი თანამშრომელია, რომელმაც ხმა ამოიღო დაბეჩავებული წოდების უფლებათა შესაძენად და მოსახვეჭადო.

მოხსენების შემდეგ წარმოადგინეს ნინოშვილის „მოსე მწერალი“ ბ. საქარიქედელის მიერ გადმოკეთებული.

მოთხრობა გადაკეთების დროს არ არის წახდენილი, მხოლოდ უმთავრეს ნაკლს ის შეადგენს, რომ სცენაზე არ სჩანს ის თვალსაჩინო გმირი, რომელიც მტერია უმწიკვლო და პატიოსანი ოჯახისა. ბაგრატ ქერაძე, მოსე მწერალის შემდეგ ბუდეა ბოროტებისა. ასეთი გმირი პიესისათვის აუცილებლად საჭირო იყო.

რაც შეეხება პიესის შესრულებას, უნდა ითქვას რომ მსახიობები თითქმის ყველა მომზადებული იყვნენ. მაგრამ თითქმის ყველას აკლდა კილო და სიმკვირცხლე გურულებისა.

ბ. კოროშელი ნამდვილი მოსე იყო. არც ზნეობა და არც სინდისის ქენჯნა მას არ აწუხებს იმ დროსაც, როდესაც თავის მომძეებს სახრჩობელას უმზადებს. მხოლოდ ფულს, ლითონს ანაცვალებს იგი სინდისსაც და ადამიანობასაც.

ა. ყალაბეგიშვილმა ნათლად დაგვანახა გამომძიებელის როლში ნამდვილი რუსის მოხელე.

კარგად შეასრულა მღვდლის როლი —ნ. გვარაძემ და სამმართველოს მოსამსახურესი—ი. ბაველმა.

საღამომ საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნამი.

ერთგულ ბიულეტენი

ქუთაისის გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა მიმართ

ქუთაისის გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა ბიურო ამით აცხადებს მომხმარებელ კოოპერატივთა საყურადღებოდ, რომ იგი უკვე შეუდგა მოქმედებას და მოუწოდებს იმ საზოგადოებებს, რომელნიც ჯერ არ ჩაწერილან წევრად და საჭიროდ სცნობენ საერთო ძალით მოქმედებას, დააჩქარონ ბიუროში ჩაწერა. უკვე ჩაწერილ წევრებს ბიურო მოუწოდებს დაჩქარებით შემოიტანონ თავიანთი ხვედრი ფული. ყველა მომხმარებელ საზოგადოებებს ევალებათ დაჩქარებით წარმოუდგინონ ბიუროს დაწვრილებით ცნობები, თუ ვის რამდენი და რა საქონელი ესაჭიროება. ყოველგვარი კითხვების შესახებ ბიურო იძლევა დაწვრილებითი პასუხს წერილობით.

ბიუროს მუდმივი მისამართი წერილებისა და დეპეშებისათვის: м. Самтреди Бюро. ფული უნდა გამოიგზავნოს: м. Самтреди Петру Павловичу Гелейшвили.

ქ. გ. მომხ. საზ. ბიურო.

ღერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ვერა ანტონის ასულს გორდეზიანისას, რომელმაც კეთილ ინება და ერთი წლით გამოუწერა გაზეთი „საქართველო“ მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტთან არსებულ აკაკის სახელობის კულტურულ წრეს. უღრმესი მადლობა აგრეთვე „თანამედროვე აზრის“ რედაქციას, გაზეთის უფასოდ მოწოდებისათვის.

პატივისცემით **წრის გამგეობა.**

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

განცხადება

თბილისის სათავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით 1915 წ. ქრისტეშობისვეს, ბანკის ბინაზე (თბილისი, ფრეილენის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლი № 11)

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

იმ ქვემოდმოხსენებულ პირთა მამულები, რომელთაც ბანკში გირავნობის შესატანი გარდასახადი არ შეუტანიათ, ბანკის წესდების 12, 17, 27, 28 და 35 §-ის მიხედვით 1915 წ. 1 მკათათვიდან 1916 წ. 1 იანვრამდე.

გრძელვადიანი სესხში დაგირავებული მამულების გასასყიდათ საჯარო ვაჭრობა მოხდება:

1) ქ. თბილისის მიდამოებსა და თვითონ თბილისში მდებარე მამულებისა—28 ქრისტეშობისთვეს 1915 წ.
2) სხვა ქალაქების და აგრედვე იმ მამულებისა, რომელთა გირავნობაშიაც ქალაქის მამულების სახით გაცემულია გრძელვადიანი სესხი—30 ქრისტეშობისთვეს.
3) სოფლის მამულებისა, რომელთა გირავნობითაც გაცემულია გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სესხი ?! აგრედვე იმ ქალაქის მამულებისაც, რომელთა გირავნობითაც მოკლევადიანი სესხია გაცემული—1916 წ. 2 იანვარს.

თუ პირველი საჯარო ვაჭრობა ვერ მოხდა ზემო აღნიშნულ დღეებში, მეორე და საბოლოო საჯარო ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში 1916 წ. 20 იანვარს.

თანახმად ბანკის წესდების მე-17 მუხლისა, საჯარო ვაჭრობა დაიწყება ქვემოდ აღნიშნულ მამულებზე დარჩენილ თავნი ვალიდან, ბანკში შესატან დარჩენილ გარდასახადებისა და აგრედვე სახელმწიფო საერობო და საქალაქო დარჩენილ გარდასახადების ზედმეტობლით, რაც კი საჯარო ვაჭრობის დღეს მამულზე ირიცხება.

ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს იმ მამულებზე, რომელთა გირავნობითაც გაცემულია გრძელვადიანი სესხი და აგრედვე ის მოკლე ვადიანი სესხი, რომლის განაღდების ვადა ჯერ არ დამდგარა, ვალდებულია ნაღდ ფულად წარმოადგინოს მამულზე დარჩენილი გარდასახადი (ნედოიმკა) სრულად და აგრედვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გარდასახადების დარჩენილი თანხა, რაც კი საჯარო ვაჭრობის დღეს მამულზე ირიცხება. მოკლევადიან სესხში დაგირავებულ მამულებზე კი, რომელთა თავნი ვალის განაღდების ვადა უკვე დამდგარა, მათ უნდა წარადგინონ ზემოხსენებულის თანხის გარდა, აგრედვე თავნი ვალის 10%.

მამულის დასამტკიცებელი ხარჯი და აგრედვე საჯარო ვაჭრობის დროს წამატებული თანხა მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკს საჯარო ვაჭრობის დღიდგან 14 დღის განმავლობაში.

თავნი ვალი იმ მამულებისა, რომელთა გირავნობითაც გაცემულია გრძელვადიანი და აგრედვე მოკლევადიანი სესხი, რომლის განაღდების ვადა ჯერ არ დამდგარა, მსყიდველმა თავის სახელზე უნდა გადაიტანოს, წინანდელის პატრონის ყოველგვარ ვალდებულებით. ხოლო მსყიდველმა მოკლევადიან სესხში დაგირავებულ მამულებისა, რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი, რომლის განაღდების ვადა უკვე დამდგარა, უნდა წარმოადგინოს მთელი დარჩენილი თავნი ვალი ნაღდ ფულად საჯარო ვაჭრობის დღიდან 14 დღის განმავლობაში.

ბანკის წესდების მე-15 §-ის თანახმად მამულის პატრონს უფლება აქვს საჯარო ვაჭრობის დღეს გადასახადი ფული წარადგინოს ბანკში ?! მამული გაყიდვისაგან გაანთავისუფლოს.

ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, გასასყიდ მამულების შესახები ყოველგვარი საბუთების გადათვალიერება შეუძლიან ბანკის კანცელარიაში საქმის დროს.

ამასთანავე ბანკის გამგეობა წინდაწინვე აცხადებს, რომ თუ საჯარო ვაჭრობით გასასყიდი მამულები იმავე მდგომარეობაში არ აღმოჩნდება ეხლა, როგორც პირველ აღწერილობაშია მოხსენებული, ბანკი პასუხისმგებლობას არა კისრულობს.